სოფ. იყალთოში ქვევრის სკოლა-სახელოსნოს „ქვევრის სახლი“-ს მშენებლობა

გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვა

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული
რეგიონული განვითარების პროექტი

თბილისი, საქართველო

მარტი 2015

აბრევიატურები

გბრდს	გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გზშ	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
გმჩ	გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო
გმგ	გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
გმ	გარემოსდაცვითი მიმოხილვა
გპჩ	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო
გსგ	განსახლების სამოქმედო გეგმა
დღგ	დამატებითი ღირებულების გადასახადი
კმ	კულტურული მემკვიდრეობა
კძდს	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
კმბსგსშ	კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება
მბ	მსოფლიო ბანკი
მგფ	მუნიციპალური განვითარების ფონდი
რგპ	რეგიონული განვითარების პროგრამა
რგის	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შინაარსი

გარემოსდაცვითი სკრინინგი და ქვე-პროექტის კლასიფიკაცია 6

ქვეპროექტების სოციალური რესურსების სკრინინგი 13

1. გარემოსდაცვითი შეფასება 15

1.1. საფუძველი 15

1.2. ინსტიტუციონალური ჩარჩო 16

1.3. განხორციელების სტრუქტურა 17

1.4. კანონმდებლობა და ნორმები 17

2. ქვეპროექტის აღწერა 18

ქვევრის სახლის ექსპლუატაცია 24

3. ფონური გარემოსდაცვითი პირობები 25

3.1. ფიზიკო-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგია, გეომორფოლოგია, სახიფათო გეოლოგიური პროცესები 25

3.1.1. ზოგადი ფიზიკო-გეოგრაფიული დახასიათება 25

3.1.2. მორფოლოგური, გეოლოგიური, ტექტონიკური და ჰიდროგეოლოგიური პირობები 26

3.1.3. სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები 27

3.1.4. გეო-საფრთხეები 28

კლიმატი 29

ჰიდროლოგია 29

ნიადაგი 29

ფლორა და ფუნა 29

კულტურული რესურსები 29

4. პოტენციური ზემოქმედების ანალიზი 30
4.1. მშენებლობის ფაზა 30
4.1.1. სოციალური ზეგავლენა 30
4.1.2. ზეგავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე. 31
4.1.3. ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება 31
დაბინძურებასთან დაკავშირებული ზეგავლენა 31
მიწის დაბინძურება 31
წყლის დაბინძურება 31
ჰაერის დაბინძურება და ხმაური 32
მშენებლობასთან დაკავშირებული ნარჩენები 32
ინერტული სამშენებლო ნაგავი 32
არა-სახიფათო სამშენებლო ნაგავი 33
სახიფათო სამშენებლო ნაგავი 33
ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა 33
ნიადაგის საფარის ზედა ფენის დანაკარგები მისი მოჭრის შედეგად 33
4.2. ექსპლუატაციის ფაზა 34
5. შემარბილებელი ღონისძიებები 34
5.1. მშენებლობის ფაზა 34
5.2. ექსპლოატაციის ფაზა 43
6. საჯარო კონსულტაციები 44
7. საჩივრების განხილვის მექანიზმი 45
8. გარემოსდაცვითი მონიტორინგი 45
9. გარემოსდაცვითი მართვისა და მონიტორინგის ღონისძიებათა გეგმა (გმგ) 45
9.1. გმგ-ს განხორციელების ინსტიტუციონალური ჩარჩო 46

9.1.1. მშენებელი კონტრაქტორის ვალდებულებანი 46

9.2. ანგარიშგება გმგ-ს განხორციელების შესახებ..... 47

9.3. გმგ დარღვევის გამოსწორება..... 48

9.4. განხორციელების ხარჯები 48

დანართი 1: გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა..... 50

დანართი 2: საკადასტრო ინფორმაცია 56

დანართი 3: სამშენებლო მოედნის ორთოფოტო 62

დანართი 3: ფოტომასალა 63

გარემოსდაცვითი სკრინინგი და ქვე-პროექტის კლასიფიკაცია

ქვე-პროექტი ითვალისწინებს, კახეთის რეგიონში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, ახალია „ქვევრის სახლის“ მშენებლობას. ქვეპროექტის მთავარი მიზანია ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციის პოპულარიზაცია, რომელიც საუკუნეებს მოითვლის. ქვევრში ღვინის დაყენების ეს უძველესი ტრადიცია განაპირობებს ღვინის განსაკუთრებულ არომატს, გემოსა და ხავერდოვნებას. ღვინის დამზადების ტრადიციული მეთოდების აღდგენის მიზნით გადაწყდა „ქვევრის სახლის“-სკოლის დაფუძნება, რისთვისაც შერჩეულ იქნა ტერიტორია სოფელ იყალთოში. „ქვევრის სახლისთვის“ გამოყოფილ ტერიტორიაზე არსებობს ყველა წინაპირობა, რათა მოეწყოს საერთაშორისო კლასის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და დღევანდელი სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-სამეწარმეო და კულტურული ცენტრი. წინამდებარე პროექტი მიზანია, „ქვევრის სახლი“ იყალთოს სამონასტრო კომპლექსის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გეგმარებითი და სტრუქტურული ნაწილი გახდეს, იგულისხმება „ოქროს გზა“. ეს ხელს შეუწყობს სოფელ იყალთოს ისტორიულ-კულტურული, ტურისტულ-რეკრეაციული და საგანმანათლებო ფუნქციების განვითარებას. ასევე არსებული უბნის გამოცოცხლებას, მის აქტიურ საზოგადოებრივ ზონად გადაქცევას რომ არაფერი ვთქვათ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე.

ქვე-პროექტის სამშენებლო მოედანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, კახეთის რეგიონში. სამშენებლო ობიექტებზე თბილისიდან ჩასვლა შესაძლებელია თბილისი-თელავი-ახმეტა საავტომობილო გზის მეშვეობით და მიახლოებითი მანძილი თბილისიდან სოფელ იყლთომდე 110 კმ შეადგენს. ქვეპოექტისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს თელავი-ახმეტის დამდაკავშირებელი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, იყალთოს აკადემიაში მისასვლელი გზის მიმდებარედ. მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდით 53.12.35.108; 53.12.35.064 და 53.12.35.065) საერთო ფართობი შეადგენს 5407.55მ2-ს. ტერიტორია ქვე-პროექტისთვის გამოყოფილ იქნა თელავის მუნიციპალიეტის საკრებულოს მიერ. საპროექტო ტერტორიაზე ამჟამად განლაგებულია ძველი შენობები რომელიც სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე საჭიროებს დემონტაჟს. აღნიშნული შენობები აშენდა მეოცე საუკუნის 40-იან წლების დასაწყისში და წარსულში გამოიყენებოდა სახცოვრებლად. ამ შენობების მესაკუთრე წარსულში იყო ადგილობრივი კოლმეურნეობა, რომელიც თავის წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას. საპროექტო ტერიტორიაზე

წარმოდგენილ შენობებში წლების წინ ცხოვრობდნენ საბჭოთა კოლმეურნეები და მათი ოჯახები. უნდა აღინიშნოს, რომ ქვე-პროექტისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, მათზე განთავსებულ შენობებთან ერთად ყოველთვის იყო ადგილობრივი მუნიციალიტეის მმართველობის საკუთრებაში. ამჟამად მხოლოდ ერთი მამაკაცი, ყოფილი კოლმეურნეების შვილი, ცხოვრობს ერთ-ერთ სახლში და საჭიროებს ამჟამინდელი სახოვრებელი ადგილსამყოფელიდან განსახლებას. შესაბამისად მოხდება, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ზემოხსენებული პიროვნების სრულად კომპენსაცია.

ძველი შენობა-ნაგებობები აშენებულია ქართული აგურით, ხოლო გადახურვა მოწყობილია ქართული კრამიტით. დემონტაჟის პროექტის შესაბამისად მიზანშეწონილია დასაშლელი სამუშაოების წარმართვა ხელით. რეკომენდაციის თანახმად დაშლის სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს დროებით შემოღობილ სიბრცეში და ორგანიზაციის გენგეგმის მიხედვით. ზოგიერთი მოხსნილი მასალა (აგური, კრამიტი, ხის მასალა და ა.შ) გასუფთავდება, გაიწმინდება, დახარისხდება და დაეწყობა შტაბელებად ღობის ფარგლებში. ძველი სამშენებლო მასალების უმეტესი ნაწილის გამოყენება დაგეგმილია ქვევრის სახლის მშენებლობისას. ტერიტორია წარმოადგენს ქანობიან რელიეფს. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან არის 640 მ.

„ქვევრის სახლი“ სკოლა კომპლექსურ ნაგებობათა ტიპს განეკუთვნება და თავის თავში აერთიანებს სამ ძირითად კომპონენტს: კულტურულ-საგანმანათლებო, საწარმოო და ტურისტულ-რეკრეაციულს. სკოლაში გამოცდილი სპეციალისტების თანადგომით ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან შეისწავლიან არა მარტო ქვევრის დამზადების ტრადიციულ წესს, არამედ ძველი ქართული სასმისების და ღვინის ჭურჭლების დამზადების მეთოდებს. მსურველთათვის ჩატარდება სალექციო კურსები და პრაქტიკული მეცადინოებები, ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით. სკოლის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ქართული კერამიკული წარმოების პოპულარიზაციას. არ არის გამორიცხული აღდგეს ძველი ქართული აგურის წარმოება, შესაძლებელია სარესტავრაციო სამუშაოებისთვის გარკვეული კერამიკული დეტალების დამზადება.

(ა) ზემოქმედების განსაზღვრა

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე ?	ქვე-პროექტს ზომიერი, მოკლევადიანი ნეგატიური ზეგავლენა ექნება გარემოზე, რომელიც ძირითადად დაკავშირებული იქნება მტვრის, ხმაურის და ვიბრაციის და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნასთან სამშენებლო მოედანზე არსებული შენობების დემონტაჟისას და ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობისას. ვინაიდან სამშენებლო მოედანი მდებარეობს განაშენიანებულ ტერიტორიაზე, უკვე სახეცვლილი ბუნებრივი გარემოთი, ბუნებრივ ჰაბიტატებზე და / ან წყლის ობიექტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
რაში მდგომარეობს ქვე-პროექტით გამოწვეული მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?	ქვე-პროექტს სავარაუდოდ გრძელვადიანი დადებითი სოციალური ზეგავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გზით. ქვე-პროექტის წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლის ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებასა დაკეთილმოწყობას. ქვე-პროექტი ხელს შეუწყობს კერამიკული წარმოების ძველი ქართული ტრადიციები აღორძინებასა და პოპულარიზაციას. ასევე რეგიონის გამოცოცხლებას, მის აქტიურ საზოგადოებრივ ზონად გადაქცევას. მოსალოდნელი უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება მოკლევადიანი იქნება და დამახასიათებელია მოდიფიცირებულ ლანდშაფტში მიმდინარე მცირე და საშუალო მასშტაბის სამშენებლო სამუშაოებისთვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციისას; სამშენებლო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ვინაიდან სამშენებლო მოედანზე არსებული ძველი შენობების სახურვები, რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს, არ შეიცავს აზბესტის შემცველ მასალებს, მსგავსი ტიპის ნარჩენები რისკი არ არსებობს. მომავალში, ქვევრის სკოლის ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის ეტაპზე, გარემოზე მოსაოდნელი

	უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ნარჩენებისა და საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების წარმოქმნასთან. სამშენებლო მოედანზე არსებული სადემონტაჟო ძველი შენობები ინდივიდუალური წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებით, ასევე კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობით, აღჭურვილი არ არის. აქედან გამომდინარე აღნიშნულ სისტემებთან დაკავშირებული ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. სოფელ იყალთოში მუნიციპალური საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს. ქვევრის სკოლის ექსპლუატაციისას, დიდი რაოდენობით საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების წარმოქმნასთან და ჩაშვებასთან დაკავშირებული რისკების შერბილება და თავიან აცილება შესაძლებელი იქნება საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების ინდივიდუალური გამწმენდი ნაგებობის (სეპტიკური ავზი) დამონტაჟებისა და შესაბამისი ექსპლუატაციის შემთხვევაში.
აქვს თუ არა ქვე-პროექტს რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური ზემოქმედება ადგილობრივ ან სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობაზე?	გრძელვადიანი დადებითი სოციალური ზემოქმედება სასარგებლო იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ქვე-პროექტი ხელს შეუწყობს სოფელ იყალთოს ისტორიულ-კულტურული, ტურისტულ-რეკრეაციული და საგანმანათლებო ფუნქციების განვითარებას. ასევე არსებული დასახლებული პუნქტის გამოცოცხლებას, მის აქტიურ საზოგადოებრივ ზონად გადაქცევას. ქვე-პროექტის განხორციელება დადებითად იმოქმედებს ადგილობრივ მოსახლეობაზე, ქვევრის სკოლის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე სამუშაო ადგილების შექმნის გზით. ის ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადების ზრდას ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის კერძო სექტორში ინვესტიციების მოზიდვას (სასტუმროები, რესტორნები, მაღაზიები, გასართობი ცენტრები და ა.შ.). მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ შესაძლო დარღვევებთან, მოკლევადიანია და ძირითადად

	შემოიფარგლება სამშენებლო მოედნით. ახალი მიწების ათვისება და განსახლება მოსალოდნელი არ არის. მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივი, საერთო ფართობით 5407,55 კვ.მ. საკადასტრო კოდი 53.12.35.108; 53.12.35.064 და 53.12.35.065 (იხილეთ თანდართული ფაილი - საკადასტრო ინფორმაცია). საპროექტო ობიექტის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მუდმივი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ბ) **შემარბილებელი ზომები**

ქვეპროექტის პროექტირებისას რა ალტერნატივები იქნა განხილული?	იმის გათვალისწინებით, რომ ქვეპროექტი ინიცირებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და მისი განხორციელდება დაგეგგმილია თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და ითვალისწინებს ახალი შენობის მშენებლობას ალტერნატივები განხილული არ ყოფილა.
რა ტიპის შემარბილებელი ღონისძიებები იქნა შემოთავაზებული?	მშენებლობის ეტაპზე, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებები შესაძლებელია ადვილად შემსუბუქდეს. ✓ სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“ შესაბამისი წერილობითი თანხმების შესაბამისად; ✓ ბუნებრივი სამშენებლო მასალების შესყიდვა უნდა განხორციელდეს ლიცენზირებული მწარმოებლებისგან ან მოპოვებულ იქნას

	კონტრაქტორის მიერ არსებული კარიერებიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ✓ მოსახლეობის შეწუხება (ხმაური, მტვერი, ემისიები) თავიდან უნდა იქნას აცილებული სათანადო მუშაობის/მომარაგების საათების და პირობების დაგეგმვით, სამშენებლო მანქანა-დანადგარების სათანადო ექსპლუატაციით და ა.შ. ✓ სეპტიკური ავზიდან წყლის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, მისი ექსპლუატაცია განხორციელდება საექსლუატაციო ინსტრუქციების შესაბამისად. ქვევერის სკოლის ინფრასტრუქტურა შემდგომი მოვლა-პატრონობის მიზნით გადაეცემა პირს, რომელიც მიწის მესაკუთრეა, მაგ. თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა. აღნიშნული ერთეული აიღებს სრულ პასუხისმგებლობას ინფრასტრუქტურის შეაბამის ექსპლუატაციაზე და მოვლა-პატრონობაზე.
წინა ანალოგიური პროექტების რომელი გამოცდილებები იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	მგფ-ს ძალიან დიდი გამოცდილება აქვს დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული შენობების რეაბილიტაციისა და მშენებლობის საშუალო და ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებაში. მსგავსი პროექტებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე, პროსექტირება მოიცავს არა მარტო ახალი შენობის მშენებლობას, არამედ ვიზიტორებისათვის დასასვნებელი ადილებისა და ავტო-სადგომების მწყობას, ასევე ქვე-პროექტის ტერიტორიის გამწვანბასა და კეთილმოწყობას და საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების ინდივიდუალური გამწმენდი მოწყობილობის (სეპტიკური ავზის) მონტაჟს კანალიზაციისთვის.
იყვნენ თუ არა ჩართულები დაინტერესებული თემები ქვეპროექტის მომზადებაში და იქნა თუ არა ადეკვატურად გათვალისწინებული მათი	ქვე-პროექტი შემოთავაზებულ იქნა თელავის მუნიციპალიტეტის მიერ, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან კონსულტაციების საფუძველზე. ქვე- პროექტისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტი და გარემოსდაცვითი

ინტერესები და ცოდნა?	ღონისძიებების გეგმა განხილული იქნა საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა თელავის მუნიციპალიტეტის, სოფელ იყალთოში 2015 წლის 27 მარტს შეხვედრის ოქმი თანდართულია დოკუმენტზე.

(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

ქვეპროექტი კლასიფიცირებულია, როგორც

A ☐

B ☒

C ☐

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ☒

მიღების შემთხვევაში და რისკების შეფასების საფუძველზე, ქვეპროექტის მომზადება საჭიროებს:

1. გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ☐
2. გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ჩათვლით ☒

ქვეპროექტების სოციალური რესურსების სკრინინგი

	ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ	დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓	
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		✓
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?	✓ *	
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორიცაა ბეღლები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		✓
	თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის "დიახ", მაშინ გამოყენებული უნდა იქნას **OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება** და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ **OP/BP 4.12** და **განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის** შესაბამისად		
	ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ	დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		✓
	თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის "დიახ", მაშინ გამოყენებული უნდა იქნას **OP/BP 4.11Pფიზიკური კულტურული რესურსები** და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს **OP/BP–სა** და **გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტში** წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.		

*მითითებულ ტერიტორიაზე ერთ-ერთი შენობა არაფორმალურად უკავია ადგილობრივ მკვიდრ ირაკლი შათირიშვილს. ამ პირს არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ადგილი. მისი და მისი

ოჯახის განსახლების მიზნით შეირჩა ალტერნატიული საცხოვრებელი და სანოტარო წესით (ადგილობრივი წარმომადგენლობა) დამოწმდა გარიგება.

1. გარემოსდაცვითი შეფასება

1.1. საფუძველი

საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს რეგიონული განვითარების პროექტს (რგპ) კახეთის რეგიონში. ქვეპროექტების გარკვეული ნაწილი იგეგმება და ფინანსდება რგპ-ს სახსრებიდან.

პროექტი მიზანად ისახავს ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციის პოპულარიზაციას, რომელიც საუკუნეებს მოითვლის. ქვევრში ღვინის დაყენების ეს უძველესი ტრადიცია განაპირობებს ღვინის განსაკუთრებულ არომატს, გემოსა და ხავერდოვნებას.

ქვევრის დამზადების ტრადიციული მეთოდების აღდგენის მიზნით გადაწყდა „ქვევრის სახლის"-სკოლის დაფუძნება, რისთვისაც შერჩეულ იქნა ტერიტორია სოფელ იყალთოში. „ქვევრის სახლისთვის" გამოყოფილ ტერიტორიაზე არსებობს ყველა წინაპირობა, რათა მოეწყოს საერთაშორისო კლასის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და დღევანდელი სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-სამეწარმეო და კულტურული ცენტრი. წინამდებარე პროექტი მიზნად ისახავს, რომ „ქვევრის სახლი" იყალთოს სამონასტრო კომპლექსის და მიმდებარე ტერიტორიის გეგმარებითი და სტრუქტურული ნაწილი გახდეს, იგულისხმება „ოქროს გზა". ეს ხელს შეუწყობს სოფელ იყალთოს ისტორიულ-კულტურული, ტურისტულ-რეკრეაციული და საგანმანათლებო ფუნქციების განვითარებას. ასევე არსებული უბნის გამოცოცხლებას, მის აქტიურ საზოგადოებრივ ზონად გადაქცევას რომ არაფერი ვთქვათ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე. ქვეპროექტის ტერიტორიაზე წარმოდგენილი „ქვევრის სახლის" ინფრასტრუქტურა საკუთრებაში გადაეცემა იმ სტრუქტურულ ერთეულს რომელიც მიწის მესაკუთრეა, კერძოდ თეალვის მუნიციპალიტეტის მთავრობას. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულს სრული პასუხისმგებლობა ექნება „ქვევრის სახლის" ინფრასტრუქტურის სწორად მართვაზე და მოვლა-პატრონობაზე.

სამშენებლო მოედანზე წარმოდგენილია სამი ერთსართულიანი და ერთი ორსართულიანი ძველი შენობა-ნაგებობა, აგრეთვე ძველი ღობე, რომელიც უნდა დაინგრეს. აღნიშნული შენობა ნაგებობების საერთო ფართობი შეადგენს 610,34მ^2-ს. ეს შენობები, რომლებიც აშენდა მეოცე საუკუნის 40-იან წლებში და გამოიყენებოდა საცხოვრებლად, ამჟამად ძლიერ დაზიანებული და სცხოვრებლად გამოუსაადეგარია. როგორც შენობები, ასევე მიწის ნაკვეთები, რომელზეც განთავსებულია ეს შენობები, წარმოადგენდა ძველი საბჭოთა კოლმეურნეობის საკუთრებას, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფო დაქვემდებარებაში იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ნაკვეთები მათზე განთავსებული შენობებითურთ ყოველთვის წარმოადგენდა სახელმწიფო (ადგილობრივი მუნიციპალიტეტის) საკუთრებას. ამ შენობებში წლების მანძილზე ცხოვრობდნენ საბჭოთა კოლმეურნეები და მათი ოჯახის წევრები. ამჟამად ერთ-ერთ

შენობაში ცხოვრობს მხოლოდ ერთი ადამიანი, ძველი კოლმეურნის შვილი, რომელიც საჭიროებს თავისი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილიდან გაყვანას და ალტერნატიული საცხოვრებელი აგილის გამოყოფას. მსოფლიო ბანკის **OP/BP 4.12 - იძულებითი განსახლების პოლიტიკისა** და რგპ-ს **განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის** შესაბამისად, მოხდება ზემოხსენებული პიროვნების სრულად კომპენსაცია.

„ქვევრის სახლის“ სკოლა კომპლექსურ ნაგებობათა ტიპს განეკუთვნება და თავის თავში აერთიანებს სამ ძირითად კომპონენტს: კულტურულ-საგანმანათლებო, საწარმოო და ტურისტულ-რეკრეაციულს. სკოლაში გამოცდილი სპეციალისტების თანადგომით ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან შეისწავლიან არა მარტო ქვევრის დამზადების ტრადიციულ წესს, არამედ ძველი ქართული სასმისების და ღვინის ჭურჭლების დამზადების მეთოდებს. მსურველთათვის ჩატარდება სალექციო კურსები და პრაქტიკული მეცადინოებები, ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით. სკოლის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ქართული კერამიკული წარმოების პოპულარიზაციას. არ არის გამორიცხული აღდგეს ძველი ქართული აგურის წარმოება, შესაძლებელია სარესტავრაციო სამუშაოებისთვის გარკვეული კერამიკული დეტალების დამზადება.

სოფელ იყალთოში ქვევრის სკოლის მშენებლობის პროექტი წარმოადგენს რგპ-ს ნაწილს, რომელიც მომზადდება, განიხილება, დამტკიცდება და განხორციელდება ქართული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის, რგპ-ს ფარგლებში მოქმედი, პოლიტიკის შესაბამისად.

1.2. ინსტიტუციონალური ჩარჩო

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდეგში მგფ) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების განმტკიცების ხელშეწყობა, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სამსახურებში ფინანსური რესურსების ინვესტირების მეშვეობით და ადგილობრივი მოსახლეობის (თემების) პირველადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრადი გაუმჯობესება. მგფ განსაზღვრულია რგპ-ს განმახორციელებელ ორგანიზაციად და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის განხორციელების ჩათვლით.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები

გრანტის მიმღები/სესხის ამღები:	საქართველოს მთავთობა, რომელიც წარმოგენილია ფინანსთა სამინისტროს სახით
ადგილბრივი წარმოადგენლობა:	თელავის მუნიციპალიტეტი
დაფინანსების წყაროები:	მსოფლიო ბანკი და მუნიციპალური მმართველობა/საქართველოს მთავრობა
განმახორციელებელი ორგანიზაცია:	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)

ფინანსური უზრუნველყოფა

ქვევრის სახლის და მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 2,554,856.12 ლარს (დღგ-ს ჩათვლით). აღნიშნულ საპროექტო ღირებულებაში არ შედის ტექნოლოგიური აღჭურვილობების შეძენისა და მონტაჟისთვის საჭირო თანხები.

1.3. განხორციელების სტრუქტურა

სასესხო ხელშეკრულება მსოფლიო ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის; პროექტის განხორციელების ხელშეკრულება სესხის ამღებსა (საქართველო) და მგფ-ს შორის; საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება მგფ-სა და თელავის მუნიციპალიტეტის მთავრობას შორის, ქვევრის სახლის და მისი ინფრასტრუქტურის, კერძოდ ახალი სკოლის შენობის და ქვევრის მაღაზიის მშენებლობისა და პარკინგის, ტუალეტების, მისასვლელი გზის, შიდა და გარე წყალმომარაგების, ელ. მომარაგების, ბუნებრივი აირით მომარაგების და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოსაწყობად.

1.4. კანონმდებლობა და ნორმები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2008), ქვე-პროექტი არ განეკუთვნება ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობას (მე-4 მუხლის პირველი პუნქტი) და არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვებას.

პროექტი მოოქმედებაში მსოფლიო ბანკის OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასეფიზიკური ბის, OP/BP 4.12 იძულებითი განსახლებისა და OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსების უსაფრთხოების პოლიტიკა.

ზემოაღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკისადა და რგპ-ს განხორციელებისათვის დამტკიცებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტის (EMF) თანახმად, ქვე-პროექტი კლასიფიცირებულ იქნა B(+) კატეგორიად, რის გამოც იგი საჭიროებს გარემოსდაცვით მიმოხილვის დოკუმენტის მომზადებას, გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმის ჩათვლით.

ქვეპროექტი დამტკიცებულია თელავის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ.

2. ქვეპროექტის აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს „ქვევრის სახლის“ ახალი სამსართულიანი შენობის მშენებლობას.

<u>მოსამზადებელ ეტაპზე</u> გათვალისწინებულია სამშენებლო მოედანზე არსებული შენობების დემონტაჟი და მოედნის გასუფთავება.

სპეციალურად წარმოდგენილი ქვეპროექტისთვის მომზადებული დემონტაჟის პროექტის თანახმად, დაგეგმილია სამი ერთსართულიანი და და ერთი ორსართულიანი შენობის და ძველი ღობის დანგრევა, რომელთა საერთო ფართობი 610.34 მ^2-ია, ხოლო მოცულობა 1755.12მ^3. წარსულში ეს შენობები გამოიყენებოდა სახცოვრებლად. ქვე-პროექტისთვის გამოყოფილი ტერიტორიის და მაზე განთავსებული შენობების მესაკუთრე წარსულში იყო ადგილობრივი კოლმეურნეობა, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილ შენობებში წლების წინ ცხოვრობდნენ საბჭოთა კოლმეურნეები და მათი ოჯახები. ამჟამად მხოლოდ ერთი მამაკაცი, ყოფილი კოლმეურნეების შვილი, ცხოვრობს ერთ-ერთ სახლში და საჭიროებს ამჟამინდელი სახოვრებელი ადგილსამყოფელიდან განსახლებას. მსოფლიო ბანკის **OP/BP 4.12 - იძულებითი განსახლების პოლიტიკისა** და რგპ-ს **განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის** შესაბამისად, მოხდება ზემოხსენებული პიროვნების სრულად კომპენსაცია.

დემონტაჟის პროექტის შესაბამისად მიზანშეწონილია დაშლის სამუშაოების წარმართვა ხელით. რეკომენდაციის თანახმად დაშლის სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს დროებით შემოღობილ სიბრცეში და ორგანიზაციის გენგეგმის მიხედვით. ზოგიერთი მოხსნილი მასალა (აგური, კრამიტი, ხის მასალა და ა.შ) გასუფთავდება, გაიწმინდება, დახარისხდება და დაეწყობა შტაბელებად ღობის ფარგლებში. მათი ხელმეორედ გამოყენება დაგეგმილია ქვევრის სახლის ახალი შენობის მშენებლობისას. დანარჩენი ნარჩენი მასალები, რომელიც არ ექვემდებარება ხელახალ გამოყენებას, დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე და გადაიყრება დანარჩენ სამშენებლო

ნარჩენებთან ერთად უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყელზე, შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

სამშენებლო მოედანზე არსებული ძველი შენობებისთვის გამოყენებული სამშენებლო მასალებში არ შედის აზბესტის ან სხვა სახიფათო ნივთიერებების შემცველი მასალები. შემობებში არ არსებობს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შენობების დემონტაჟის სამუშოებისას არ არსებობს სახიფათო სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნის რისკი.

<u>მშენებლობის ეტაპი</u>

პროექტით გათვალისწინბულია სამსართულიანი სკოლის შენობის მშენებლობა, საპროექტო შენობის წყალმომარაგების, ელ.მომარარაგების და გაზმომარაგების, კანალიზაციის, სანიაღვრე და სავენტილაციო სისტემების მოწყობა და ასევე საპროექტო მოედნის კეთილმოწყობა.

ახალი შენობა 3 სართულიანი იქნება, მართკუთხა ფორმის, აივნების და ლოჯიების გარეშე, ორი კიბის უჯრედით. სართულის საშუალო სიმაღლე 3.40 მეტრა. არ ექნება სარდაფი. შენობა იქნება კარკასული ტიპის, კედლები შეივსება ბლოკით, ყორე ქვით და მოპირკეთდება ქართული აგურით. სართულშორისი გადახურვა მოეწყობა მონილითური რკინა-ბეტონის ფილებით, კიბეები - მონოლითური რკინა-ბეტონით და საფეხურები მოპირკეთდება კურსების გრანიტითა და ბაზალტის ფილებით. სახურავი და გადახურვა ხის ნივნივებზე მოეწყობა პროფილირებული ფენილითა და კრამიტით.

საწარმოო ნაწილი ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე იყოფა სამ ძირითად ნაწილად: 1. თიხის მოსამზადებელი და შესანახი საამქრო. 2. ქვევრის გამოსაწვავი ძირითადი ღუმელი, რომელშიც ერთდროულად ოთხი ქვევრის გამოწვა იქნება შესაძლებელი. 3. ქვევრის დასამზადებელი საამქრო, რომელიც ვიტრაჟით გეიმიჯნება სადეგუსტაციო დარბაზს, საიდანაც მოხდება ქვევრის მშენებლობის პროცესის დაკვირვება. ეს მნახველისთვის ერთგვარ ჩართულობას გამიწვევს ქვევრის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში. ასევე მსურველებს შესაძლებლობა მიეცემა თავად მიიღონ მონაწილეობა თიხის სხვაგასხვა ნაკეთობების დამზადებაში. სადეგუსტაციო დარბაზს ესაზღვრება ჰოლი და სველი წერტილები. პირველ სართულზე განთავსდება ჭურჭლის სამრეცხაო და ბარის დამხმარე სათავსოები, რომლებიც დაუკავშირდება როგორც დარბაზიდან, ასევე შესაძლებელი იქნება დამოუკიდებელი შემოსასვლელიდან შესვლა.

სადეგუსტაციო დარბაზიდან კიბის საშუალებით ასვლა შესაძლებელი იქნება შენობის მეორე სართულზე, სადაც განლაგდება ოფისები და მუზეუმი. მცირე საგამოფენო დარბაზი გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის დამთვალიერებელს ქართული კერამიკის

წარმომავლობაზე და თვითმყოფადობაზე. ღია ტერასაზე, რომელიც დაუკავშირდება საგამოფენო სივრცეს, წარმოადგენს ქვევრის დასამზადებელი და გამოსაწვავი საამქროების ზედა დონეს, სადაც მოეწყობა ღია მუზეუმი და საზაფხულო სასწავლო გამოფენა-გაკვეთილები. ტერასიდან ლითონის კიბის საშუალებით შესაძლებელი იქნება ეზოში მოხვედრა, სადაც მოხდება თიხის მიღება, ბუნკერებში დახარისხება და გამომწვარი ქვევრების დასაწყობება.

მუზეუმი კიბის საშუალებით დაუკავშიდება მასში გამომავალ ანტრესოლს, სადაც განთავსდება ბიბლიოთეკა და დიზაინერის სამუშაო სივრცე მცირე სათათბიროსთან ერთად. ბიბლიოთეკიდან ტერასაზე ჩასვლა შეზლებელი იქნება კიბის საშუალებით, სადაც მოეწყობა პერგოლა და სარეკრეაციო ზონა.

საწარმოში დაცული იქნებაა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები (ტუალეტები, საშხაპეები, გარდერობები). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წარმოების უსაფრთხოების ზომებს. გამოსაწვავი საამქროს დამხმარე სათავსოების სხვენში მოეწყობა პლასტმასის რეზერვუარები საავარიო ხანძარქრობისათვის. ვიტრაჟები და ფანჯრები დამზადდება ხისფერი მეტალოპლასტიკისაგან, რომელშიც ჩაყენდება მინაპაკეტები.

შენობის კედლები შეილესება გაჯითა და ქ/ც ხსნარით და შეიღებება მაღალხარისხიანი საღებავით. პირველი სართულის იატაკზე ჰოლში დაიგება კერამოგრანიტის ფილები, ხოლო საწარმოო ნაწილი კი მოზაიკური იატაკია. მეორე სართულზე და ანტრესოლში იგება ლამინატი (კლასი 32). სანკვანძებში, სამზარეულოებში და ჰოლებში სადარბაზოს ჩათვლით მოეწყობა კერამიკული ფილები. სანკვანძებში გაკეთდება შეკიდული პლასტმასის ჭერი. შიდა კარები დამზადდება მ.დ.ფ ისაგან.

ფასადები მოპირკეთდება ქართული აგურით. შიდა ეზოში კი ფასადები შეილესება ქ/ც ხსნარით და შეღებება ფასადის საღებავით. ცენტრალურ შესასვლელში მოეწყობა პანდუსი უნარშეზღუდულთათვის.

შენობის მხატვრული იერსახის გადაწყვეტა ნაწილობრივ მისმა ტექნოლოგიურმა სპეციფიკამ განაპირობა. გამოყენებულია კახეთის რეგიონისთვის დამახასიათებელი ადაპტირებული სამშენებლო სისტემა და ეთნიკური საცხოვრებლისთვის ტრადიციული ელემენტები (ყორე-ქვა, ქართული აგური). დემონტაჟის დროს მაქსიმალურად უნდა იქნეს შენარჩუნებული არსებული სამშენებლო მასალა მისი შემდგომი გამოყენების მიზნით.

<u>ელექტრომომარაგება და გაზმომარაგება</u> უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივი ელექტრომომარაგებისა და გაზმომარაგები სისტემებიდან.

<u>წყალმომარაგების სისტემა</u>

ობიექტის ცივი წყლით მომარაგება მოხდება ჭაბურღილებიდან, რომელიც განთავსდება შენობის გარეთ საპროექტო ტერიტორიაზე. ჭაბურღილიდან წყალი გადატუმბვა და შენობაში დაპროექტებული წყლის რეზერვუარის შევსება მოხდება ტუმბოს მეშვეობით.

ცხელი წყლით მომარაგება დაგეგმილია საქვაბიდან, რომელიც ასევე განთავსდება სკოლის შენობაში. წყალმომარაგება განხორციელდება ქვაბისა და მოცულობითი თბომცლელის მეშვეობით.

ცივი და ცხელი წყლსადენის სისტემა გათვალისწინებულია მოეწყოს პოლიპროპილენის მილგაყვანილობით დაგაუკეთდეს მილის თბოიზოლაცია. შენობაში განთავსებული რეზერვუარიდან გათვალისწინეულია d=50მმ მილის გამოყვანა ხანძარსაწინააღდეგო მიზნებისთვის.

<u>საკანალიზაციო სისტემა</u>

შიდა საკანალიზაციო სისტემა გათვალისწინებულია მოეწყოს პლასტმასის სქელკედლიანი მილებით, ხოლო გარე ქსელი პლასტმასის გოფრირებული მილებით.

კანალიზაციის დგარები ჰორიზონტალური d=100მმ მილების გამომყვანების მეშვეობით, უერთდება ეზოში დაპროექტებულ საკანალიზაციო ჭებს, რის შემდეგაც საკანალიზაციო ქსელის ჩართვა მოხდება საროექტო ტერიტორიის გარეთ, 115 მერტრის მოშორებით, მოწყობილ კანალიზაციის გამწმენდ ნაგებობაში (სეპტიკური ავზი).

ფეკალური წყლების გასაწმენდად გამოყენებული იქნება ახალი ტექნოლოგიებით დამუშავებული ბიოლოგიური გამწმენდი მოწყობილობა (დღიური წარმადობით 6$მ^3$/დღ).

კონსტრუქციულად იგი წარმოადგენს პოლიპროპილენისაგან დამდაზებულ ცილინდრს, ქვედა მხრიდან გერმეტულად დახურულს. შიგნიდან იგი გადატიხრულია პოლიპროპილენის ტიხრებით და დაყოფილია გაწმენდის რამოდენიმე ზონად.

იგი ხასიათდება:

1. ჩამდინარე ფეკალური კანალიზაციის მაღალი ხარისხის გაწმენდით;
2. ელ. ენერგიეს დამზოგი ტექნოლოგიით;
3. დანადგარი მთლიანად ავტომატიზირებულია. არ არის საჭირო მუდმივი მეთვალყურეობა. ჩამდინარე წყლების გაწმენდის პროცესი მთლიანად ავტომატიზირებულია, რაც შესაძლებლობას იძლევა გაწმენდის პროცესის ოპტიმიზაციისათვის. ეს ნიშნავს, რომ მას შეუძლია მუშაობის პროცესში ჩამდინარე წყლების შემოდინების შესაბამისად ავტომატურად გადაერთოს – პირველ, მეორე და

მესამე ეკონომიურ რეჟიმში. და რაც მთავარია შეუძლია იმუშაოს ფორსირებულ რეჟიმში. დანადგარი აღჭურვილია ავარიული სიგნალიზაციით როდესაც:

- გაითიშება ელ. ენერგია;
- მწყობრიდან გამოვა, რომელიმე აგრეგატი.
- მიმღები საკნის ამოვსება (გაბინდვა). უხეში დიდი გაბარიტის საგნებით.

4. შესაძლებელია გამწმენდი ნაგებობის მართვა დისტანციურად სამორიგეოდან;
5. არ არის საჭირო საასენიზაციო მანქანა ნარჩენების გასატანად. ზედმეტი აქტიური შლამის დაგროვება ხდება გამწმენდი ნაგებობის შიგნით ტომარაში, რომელიც ხელით გაიტანება და იდება დახურულ კონტეინერში. მის ადგილზე კი მაგრდება ახალი ტომარა;
6. ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგია დამუშავებულია ისე, რომ არ ხდება მეთანისა და გოგირდწყალბადის გამოყოფა, რაც იძლევა საშუალებას გამწმენდი ნაგებობა არ იყოს დაცილებული დიდი მანძილით ობიექტიდან. და რაც მთავარია მასში რამოდენიმეჯერ მეორდება ნიტრიფიკაციისა და დენიტრიფიკაციის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს გაწმენდილ წყალში აზოტისა და ფოსფორის შემცირებას;
7. ელ. ენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში მას შეუძლია გამოდევნოს თავისი დამაგროვებელი მოცულობებიდან ადრე გაწმენდილი წყალი და შემდგომში იმუშაოს, როგორც მრავალსაფეხურიანმა სალექარმა, რომელიც უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გაწმენდას ცხიმებისა და მოტივტივე ნარჩენებისაგან. ელ. ენერგიის აღდგენისთანავე ნაგებობა ერთვება ნორმალური მუშაობის რეჟიმში;
8. მართვადი ერლიფტების მეშვეობით შექმნილია დამაგროვებელი მოცულობა, რომელიც გათვალისწინებულია მიიღოს მაქსიმალური ზალპური ხარჯები, რაც იძლევა საშუალებას ავიცილოთ გაუწმენდავი წყლების გადინება ნაგებობიდან;
9. დანადგარი მზადდება, პოლიპროპილენისაგან, რომელიც ქიმიურად არ არის აქტიური. არ ექვემდებარება კოროზიას, გერმეტულია, არის მცირე გაბარიტის და წონის;
10. ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებებით, მაღალი საიმედობით, ხანგრძლივი მუშაობით, მცირე ენერგეტიკული დანახარჯებით და ჩამდინარე წყლების მაღალი ხარისხის გაწმენდით.

გამწმენდ ნაგებობაში გათვალისწინებულია ჩამდინარე წყლების დაქლორვა, იგი განთავსებულია ლიუკის ქვეშ. უკვე დამზადებული ჰიპოქლორიდის მიწოდება ხდება ავტომატურად.

ცხრილი 1 გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური მაჩვენებლები

მონაცემები	გამწმენდი ნაგებობის მაჩვენებლები	
	შესვლზე	გამოსვლისას
ჟ ბ მლ, მგ O_2/ლ	≈390	5÷7
ჟ ქ. მ, მგ O_2/ლ	≈480	≤50
NH4 მგ/ლ	20	≤1
შეწონილი ნაწილაკები მგ/ლ	220	≤5÷8
კოლი-ინდექსი	>100 000	1 000

გამწმენდ დანადგარში დამუშავების და გასფთავებული წყლის ჩაშვება მოხდება სამშენებლო მოედნის მიმდებარედ არსებულ ბუნებრივ ხევში.

<u>სანიაღვრე სისტემა</u>

ქვევრის სახელოსნოსდან და თიხის გადამამუშავებელი საამქროდან მორეცხილი წაყლი ჩაედინება სალექარში. საიდანაც წყალი გადაედინება ეზოში დაპროექტებულ ცხაურიან სანიაღვრე წყლების მიმღებ ჭებში, სადაც ასევე ხდება ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი წყლების მიღება.

ეზოდან სანიაღვრე წყლების გაყვანა ხდება საპროექტო ობიექტის ტერიტორიის გარეთ დაპროექტებულ რკინაბეტონის სანიაღვრე სალექარში, რის შემდეგაც დანალექი წყლის გადაღვრა მოხდება არსებულ ხევში.

<u>ვენტილაცია</u>

სან. კვანძებში გათვლისწინებულია მოეწყოს d=100მმ პლასტმასის თხელკედლიანი მილგაყვანილობები და დამონტაჟდეს საყოფაცხოვრებო ჩამკეტი ვენტილატორი.

<u>ტერიტორიის გამწვანება და კეთლმოწყობა</u>

შენობის ირგვლივ არსებული ასფალტის საფარი შეიცვლება ნაწილობრივ, დანარჩენ ნაწილზე მოეწყობა გამწვანება. ქუჩის მხარეს მოეწყობა ღია ავტოსადგომები, რომლებიც მოპირკეთებულია დეკორეტიული ფილებით, სამანქანო გზები გამოიყოფა ბეტონის ბორდიურებით. ტეროტორიიდან წვიმის წყლის გადაყვანა ხდება გზებზე მოწყობილი ბუნებრივი ქანობებით.

ცხრილი 2 სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, დანადგარებისა და ინსტრუმენტების ჩამონათვალი

No.	დასახელება	მარკა	რაოდენობა, ცალი
1	2	3	4
1	თვითმცლელი ძარიანი და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის გადასატანად	სხვადასხვა	1
2	გადასატანი კომპრესორი	სო-48	1
3	ელექტრო შესადუღებელი საჭრელი აგრეგატი	კომპ	1
4	ავტოკენური შედუღების და ჭრის აპარატი	კომპ	1
5	სახურავის ფურცლის გასაწმენდი პარატი	კპუ-35	1
6	მობილური ამწეები ავტოსვლაზე "ივანოვეცის" ტიპის	-	1
7	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვ.	ომპ	2
8	ლითონის სახარაჩო სექციები 100 $მ^2$ ფართობისთვის	ომპ	1
9	საავტომობილო ამწე		1
10	საამშენებლო ამწე	ТП-3А	1

ქვე-პროექტის განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობაა 18 თვე.

ქვევრის სახლის ექსპლუატაცია

მშენებლობის დასრულების შემდეგ ქვეპროექტის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ინფრასტრუქტურის გადაცემა მოხდება იმ ერთეულზე რომელიც წარმოადგენს მიწის

მესაკუთრეს, კერძოდ, თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მმართველობას. მას დაეკისრება ინფრასტრუქტურის ადეკვატური ექსპლოატაციისა და მოვლა-პატრონობის საერთო პასუხისმგებლობა. ამ მიზნის მისაღწევად მათ გარე რესურსებს (კერძო სექტორი) უნდა დააკისრონ ექსპლოატაციისა და მოვლა-პატრონობის ფუნქციები. ყველა ინფრასტრუქტურული ელემენტი (მისასვლელი გზა, პარკინგები, გარე განათება, კაფეები, ქვევრის მაღაზია, და ტუალეტები) განხილული უნდა იქნას როგორც ერთიანი პაკეტი, რომელის მართავაზეც მფლობელი აიღებს პასუხისმგებლობას და მას ერთი ლოტის სახით გადასცემს კერძო ორგანიზაციას. თუ ოპერატორი კომპანია ვერ შეძლებს ინფრასტრუქტურის რომელიმე ელემენტის კარგ ფუნქციონალურ მდგომარეობაში შენარჩუნებას, ამას შესაძლოა მოჰყვეს ინფრასტრუქტურული ელემენტების მთლიანი პაკეტის მართვის ხელშეკრულების შეწყვეტა.

3. ფონური გარემოსდაცვითი პირობები

ქვე-პროექტის სამშენებლო მოედანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, კახეთის რეგიონში. სამშენებლო ობიექტებზე თბილისიდან ჩასვლა შესაძლებელია თბილისი-თელავი-ახმეტა საავტომობილო გზის მეშვეობით და მიახლოებითი მანძილი თბილისიდან სოფელ იყლთომდე 110 კმ შეადგენს. ქვეპოექტისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს თელავი-ახმეტის დამდაკავშირებელი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, იყალთოს აკადემიაში მისასვლელი გზის მიმდებარედ. მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდით 53.12.35.108; 53.12.35.064 და 53.12.35.065) საერთო ფართობი შეადგენს 5407.55მ^2-ს. ტერიტორია წარმოადგენს ქანობიან რელიეფს. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან არის 640 მ.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკების განსაზღვრის და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით აუცილებელია განხილულ იქნას მოცემული რეგიონისთვის დამახასიათებელი გარემოსდაცვითი და სოციალური პირობები. წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტი განიხილავს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ფონურ ინფორმაციას, რათა თავიდან ავიცილოთ სამშენებლო მოედნის მახლობლად მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უარყოფითი ზემოქმედება.

3.1. ფიზიკო-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგია, გეომორფოლოგია, სახიფათო გეოლოგიური პროცესები

3.1.1. ზოგადი ფიზიკო-გეოგრაფიული დახასიათება

კახეთის რეგიონი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. კახეთის რეგიონს ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია (ჩეჩნეთი და დაღესტანი), აღმოსავლეთით და სამხრეთით აზერბაიჯანი და დასავლეთით საქართველოს რეგიონები - მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლი.

კახეთის რეგიონის საერთო ფართობი 11040,6 კმ^{2}ია, რომელიც საქართველოს მთელი ტერიტორიის 16,6% -ს კახეთის მშეადგენს. კახეთის რეგიონი მოიცავს 8 ადმინისტრაციულ რაიონს.

თელავი მდებარეობს გომბორის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ძირში, ალაზნის ველზე. თელავი წარმოადგენს კახეთის რეგიონის და თელავის რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრს. თელავი არის თბილისი-თელავის სარკინიგზო გზის საბოლოო დანიშნულების ადგილი. თელავი ზღვის დონიდან 550-800 მ სიმაღლეზეა განთავსებული და თბილისიდან 158 კმ-ით არის დაშორებული. თელავი დაარსდა და ქალაქის სტატუსი მიიღო 1801 წელს. მისი მოსახლეობა შეადგენს 21.8 ათას ადამიანს (2002 წლის აღწერის მიხედვით). თელავის მუნიციპალიტეტი შედგება 24 სოფლისგან.

3.1.2. მორფოლოგური, გეოლოგიური, ტექტონიკური და ჰიდროგეოლოგიური პირობები

ტექტონური მახასიათებლების მიხედვით, კახეთის რეგიონი მოიცავს სამ დიდ გეო-ტექტონურ ბლოკს:

- ✓ კავკასიონის ძირითადი მთაგრეხილის ანტიკლორინული ლიოსის ფენების ჯდენის აღმოსავლეთ ზონას;
- ✓ კავკასიონის სამხრეთ ქანობის ნაოჭა სისტემის ქვედა და შუა იურული პერიოდის ფენების ყაზბეგი-ლაგოდეხის ზონას და ზედა იურული პერიოდის და ცარცულ-კარბონატული ფენის მესტია-თიანეთის ზონას, რომელიც დაყოფილია ორ ქვე-ზონად (ჟინვალი-გომბორის და ალაზნის ჯდენის ზონებად)
- ✓ საქართველოს მიწის (შიდა მთების ღრმულის) აღმოსავლეთ ჯდენის ზონა წარმოდგენილია გარე კახეთის ქვედ-ზონით, კახეთის საზღვრებში.

თელავის ლანდშაფტი მშვენიერია. ქალაქი ყველა მხრიდან გარშემორტყმულია მშვენიერი ლანდშაფტებით. თელავი გადაჰყურებს ცივ-გომბორის მთგრეხილს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით და ესაზღვრება ალაზნის ველს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. კავკასიონის მთაგრეხილი, რომელიც ჩრდილოეთით მიუყვება ალაზნის ველს, თელავის თითქმის ყველა ნაწილიდან ჩანს.

ცივ-გომბორის მთაგრეხილი წარმოადგენს ფართო ახალგაზრდა ანტიკლინს, რომელიც ჩამოყალიბდა პლიოცენური განშტოების დეპოზიტების სუბსტრატზე. აღნიშნული დეპოზიტები განლაგებული არიან შეუსაბამოდ ცარცული და პალეოგენური კომპლექსის ნაკეცებიან დეპოზიტებზე. ცივ-გომბორის მთაგრეხილის თხემის ნაწილში და მისი ჩრდილოეთ ქანობის ზედა საფეხურზე გვხვდება ბრტყელ-ტალღოვანი წყალგამყოფების ფრაგმენტები და შემორჩენილი გაშიშვლებული ზედაპირები. ისინი გაპობილები არიან ხეობებით, რომელთათვისაც დამახასიათებელია ძლიერი შლამის ნაკადის აქტიურობა.

3.1.3. სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

შპს „სტუდია 4“-ის დაკვეთით (დაკვეთა №233/2013), შპს ,,ახალი საქქალაქმშენპროექტის” საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2013 წლის სექტემბერში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. იყალთოში, ქვევრის სკოლის (სახელოსნო) და ქვევრის მაღაზიის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბნებზე, ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სამშენებლო უბნების საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი შენობების დაფუძნების პირობების დადგენა.

დასაპროექტებელი შენობების მოცემული პერიოდისთვის განსაზღვრული ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

უშუალოდ უბნების ფარგლებში, წინა წლებში ჩატარებული კვლევის შესახებ ცნობილი არ არის.

ზემოთ აღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ 02.01-08, პნ 01.01-09) მოთხოვნების გათვალისწინებით, დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილებში, გაიბურღა 6 ჭაბურღილი №№1÷6. აქედან 4 ჭაბურღილი №№1÷4, სიღრმით 10_11 მ, გაიბურღა ქვევრის სკოლის (სახელოსნოს) უბანზე, ხოლო 2 ჭაბურღილი №№5 და 6, სიღრმით 6,0 მ თითოეული _ ქვევრის მაღაზიის უბანზე. სულ შესრულებული სამუშაოების მთლიანი მოცულობა შეადგენს 55,0 გრძივ მეტრს. ბურღვა ჩატარდა მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დაზგით „უგბ-1ვს“, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით. უბნებზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით ჭაბურღილებიდან აღებულია გრუნტების დაურღვეველი სტრუქტურის 12 ნიმუში, რომელთა შესწავლა ჩატარდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. შედეგები თანდართულია დასკვნაზე კრებსითი ცხრილის სახით. ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმა 1:1000 მასშტაბში, რომელზედაც დატანილია ჭაბურღილების განლაგება და რომლის მიხედვით შესრულებულია მათი გეგმურ-სიმაღლითი მიბმა.

საკვლევი უბნები მდებარეობს თელავი-ახმეტის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, იყალთოს აკადემიისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ. გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია განლაგებულია გომბორის ქედის ჩრდილო ფერდის დაბოლოებაზე და წარმოადგენს პერიოდულად მოქმედი მდ. იყალთოსხევის მარჯვენა ტერასის ნაწილს,

ჩრდილოეთისკენ საერთო დახრის მქონე რელიეფით. ჩატარებული კვლევითი სამუშაოების მონაცემების საფუძველზე, შედგენილია ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები და უბნების ლითოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, საკვლევი ტერიტორიის ლითოლოგიურ აგებულებაში, გამოკვლეულ სიღრმემდე (6_11 მ მიწის ზედაპირიდან), მონაწილეობენ პროლუვიურ-დელუვიური (dpQIV) გენეზისის ორი სახესხვაობის გრუნტი _ თიხოვანი და მსხვილნატეხოვანი. თიხოვანი გრუნტები წარმოდგენილია მყარი და ნახევრადმყარი კონსისტენციის, სუსტად თაბაშირიანი ყავისფერი თიხებით, კენჭების და ღორღის ჩანართებით 10_15%-მდე (ფენა 2).

მსხვილნატეხოვანი გრუნტი წარმოდგენილია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული კენჭნარებით, უმთავრესად თიხნარი გრუნტის შემავსებლით 40_45%-მდე (ფენა 3).

აღწერილი თიხოვანი და მსხვილნატეხოვანი გრუნტების სიმძლავრეები მკვეთრად ცვალებადია (0,2 მ-დან 4,20 მ-ის ფარგლებში) და ერთმანეთში მორიგეობენ რაიმე კანონზომიერების გარეშე, როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური მიმართულებით. ცვალებადია მათი შემცველობაც _ ზოგან ჭარბობს თიხოვანი გრუნტი, ზოგან კი მსხვილნატეხოვანი. უბნების ფარგლებში გავრცელებული პროლუვიურ-დელუვიური გრუნტები დაფარულია 0,5_2,5 მ-მდე სიმძლავრის ტექნოგენური (tQIV) _ ნაყარი გრუნტით, წარმოდგენილი თიხის, კენჭების, ღორღის, აგურის და კერამიკის ნატეხების ნარევით (ფენა 1).

უბნებზე, გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში, გრუნტის წყალი არ გამოვლენილა.

3.1.4. გეო-საფრთხეები

კახეთის რეგიონის სამხრეთი ნაწილი განთავსებულია 7-ბალიანი ინტერნსივობის სეისმურ ზონაში. სეისმური ზონის ცენტრალური ნაწილი, რომელიც შედგება დედოფლისწყაროსგან და საგარეჯოსგან, ეცემა 8-ბალიანი აქტიურობის ფარგლებში; სიღნაღი და გურჯაანი მდებარეობს 8 და 9-ბალიანი ზონების საზღვართან, ხოლო კახეთის ჩრდილოეთ ნაწილი, თელავის, იყალთოს, ახმეტის, ყვარლის, ისევე როგორც თუშეთის ჩათვლით – ეცემა 9-ბალიანი ინტენსივობის უმაღლესი რისკის ზონის ფარგლებში.

გეო-საფრთხეები ქვე-პროექტის ზონაში დაფიქსირებული არ არის.

კლიმატი

თელავის მუნიციპალიტეტი იმყოფება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულ კლიმატურ ზონაში. ალაზნის ველისთვის დამახასიათებელია ცხელი ნოტიო ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 120ჩ, მაქსიმალური - 390ჩ. ნალექების წლიური რადენობაა 700-800 მმ.

ჰიდროლოგია

თელავი მდებარეობს მდ. ალაზნის წყალშემკრებ აუზშიში. მდინარე ალაზანი სიდიდით მეორე მდინარეა საქართველოში. მდინარე იწყება კავკასიონის მთების სამხრეთ ქანობზე, ზღვის დონიდან 825 მ სიმაღლეზე, სადაც ორი მდინარე - წიფლოვანისხევი და სამყურისწყალი უერთდება ერთმანეთს სოფ. კადორთან. ალაზანი ჩაედინება მინგეჩაურის წყალსაცავში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, გარე კახეთის პლატოს აღმოსავლეთ საზღვართან. მდ. ალაზნის სიგრძეა 351 კმ, საერთო ვარდნა შეადგენს 745 მ, საშუალო ქანობია 2.1%, ხოლო წყალშემკრების ფართობი შეადგენს 11.800 კმ^2.

ნიადაგი

ალაზნის ველის მარცხენა ნაწილში ჩამოყალიბებულია მდელო-ტყის არა-კარბონატული ალუვიური ნიადაგი, ხოლო მარჯვენა ნაწილში – ალუვიური კარბონატული ნიადაგი. მთისწინეთის ზონაში აღინიშნება ყავისფერი ნიადაგი. კავკასიონის მთაგრეხილზე და ფართო-ფოთლოვანი ტყის ფარგლებში არსებულ ფერდობზე აღინიშნება ნაცრისფერი ტყის ნიადაგი.

ფლორა და ფუნა

ქვე-პროექტისთვის გამოყოფილი მიწის ნკვეთი მდებარეობს დასახლებულ ადგილას, რომლის პირველადი ბუნებრივი გარემო-პირობები უკვე გარდაქმნილია და ბუნებრივი ლანდშაფტი გაღარიბებულია. მნიშვნელოვანია, უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო მოედანზე წარმოგენილია 4 კვიპაროსის ხე. რათა თავიდან იქნას აცილებული რაიმე სახის უარყოფითი გავლენა ამ მნიშვნელოვანი სახეობის ხეებზე, კვიპაროსები ინტეგრირებულია ახალი შენობის მშენებლობის და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სპროექტო ნაწილში. აღნიშნული განაპირობებს როგორც მნიშვნელობანი სახეობის ხეების შენარჩუნებას, ავსევე მისცემს ესთეტიურ იერსახეს ახლად მოწყობილ ინფრასტრუქტურას.

კულტურული რესურსები

თელავის მუნიციპალიტეტში მრავალი მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გვხვდება. სოფელ იყალთოში რამოდენიმე ათეული მცირე და საშუალო ზომის ეკლესიაა. ერთ-რთი გამორჩეული და უნიკალურია წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაა, რომელიც მდებარეობს სამშენებლო მოედნის მიმდებარედ. ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც მდებარეობს ქვე-პროექტის ტერიტორიის მახლობლად არის იყალთოს მონასტერი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვე-პროექტის მთავარი მიზანია „ქვევრის სახლი“ პროექტი იყალთოს სამონასტრო კომპლექსის და მიმდებარე ტერიტორიის გეგმარებითი და სტრუქტურული ნაწილი გახდეს, იგულისხმება „ოქროს გზა“.

სამშენებლო მოედანი დაახლოებით 2 კმ-თაა დაშორებული იყალთოს მონასტრიდან. ვინაიდან იყალთოს მონასტერის ტერიტორია მდებარეობს ქვე-პროეტისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემდეგ და სამშენებლო მოედნიდან საკმაოდ მოშორებით, ქვეპროექტის განხორცელებით იყალთოს აკადემიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნებლი არ არის. ქვევრის სახლი არ იქნება ხილული მონასტრის ტერიტორიიდან და უარყოფითად არ იმოქმედებს მის ესთეტიურ ღირებულებაზე.

წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია მდებარეობს სამშენებლო მოედნის ახლოს. წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიასა და სამშენებლო მოედნის იმ ნაწილს შორის მანძილი, სადაც დაგეგმილია აქტიური სამშენებლო სამუშაოების განხორციელდება 75 მ-ია. მიუხედავად იმისა, მანძილი საკმარისია, რათა თავიდან იქნას აცილებული სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენა წმინდა ნინოს სახელობის ეკლესის ნანგრევებზე, პროექტი ითვალისწინებს ეკლესიის სამშენებლო მოედნისგან იზოლაციას სპეციალური ბარიერების საშუალებით, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი სახის მავნე ზემოქმედება ეკლესიის ნანგრევებზე.

„ქვევრის სახლის“ განთავსების ტერიტორიის და დიზაინის შერჩევის პროცესში კონსულტაციებში ჩართული იყვნენ საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ეკლესიის წარმომადგენლები და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად. ალავერდის ეპარქიის (ამ ეპარქიას ეკუთვნის სოფელ იყალთო და ყველა ეკლესია მის ტერიტორიაზე) მიტროპოლიტი დავითი უშუალოდ მონაწილეობდა შეხვედრებში და მოლაპარაკებებში.

4. პოტენციური ზემოქმედების ანალიზი

4.1. მშენებლობის ფაზა

4.1.1. სოციალური ზეგავლენა

- <u>სოციალური საკითხები ზოგადად.</u> სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული მნიშვნელოვანი სოციალური ზეგავლენა, როგორიცაა ადგილობრივი დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლა, ახალმოსახლეების ნაკადი, მეორადი განვითარება, სამუშაო შესაძლებლობები და შიდსთან დაკავშირებული რისკების ზრდა გათვალისწინებული არ არის.

- <u>განსახლების საკითხები</u>. პროექტი არ ითვალისწინებს კერძო მიწის შეძენას და პერმანენტული ხასიათის ზეგავლენას კერძო, ან დაქირავებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და კერძო აქტივებსა, თუ ბიზნესებზე.

- <u>მშენებლობაზე მუშების დასაქმების შესაძლებლობასთან დაკავშირებული პოზიტიური ზეგავლენა</u> – შეზღუდულია და დროებითი მშენებლობისას და ექსპლუტაციისას.

- <u>ხმაურთან, ემისიებთან, და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები</u>. შეზღუდული და დროებითია.

- <u>სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევა</u>. ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა შესაძლოა დროებით შეიზღუდოს.

- <u>უსაფრთხოება და მისასვლელი გზები.</u> საპროექტო ტერიტორიის მახლობლად მდებარე ტერიტორიებზე მისვლა შეიზღუდება და შესაბამისად დაიკლებს სატრანსპორტო საშუალებებზე და ფეხით მოსიარულეებზე მოსალოდნელი პოტენციური საფრთხე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისასი.

4.1.2. ზეგავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ან ცნობილი არქეოლოგიური ადგილები წარმოდგენილი არ არის, თუმცა ეს არ გამორიცხავს არქეოლოგიური სამარხების არსებობას აღნიშნულ ტერიტორიაზე. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციისას წარმოქმნილ ხმაურთან, მტვერთან, ვიბრაციასთან და გამონაბოლქვთან. მართალია კულტურულ მემკვიდრეობზე ზეგავლენის რისკი მაღალი არ არის, მაგრამ აუცილებელია ზედამხედველობა ტრანშეების თხრის და მიწის სამუშაოების პროცესში.

4.1.3. ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება

<u>დაბინძურებასთან დაკავშირებული ზეგავლენა</u>

სამშენებლო მასალების და ნარჩენების არასწორმა მართვამ, შენახვამ, გამოყენებამ და გადაყრამ, შესაძლოა გამოიწვიოს წყლის/მიწის დაბინძურების რისკი სამშენებლო ტერიტორიასა და შენახვის ადგილას. აღჭურვილობის არასწორმა მოვლა-პატრონობამ და საწვავით შევსებამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს მიწის და გარკვეულწილად წყლის (სეზონური ნიაღვარის გადასასვლელთან ახლოს) პოტენციური დაბინძურება. ეს უკანასკნელი ზეგავლენა ნაკლებ სავარაუდოა.

<u>მიწის დაბინძურება</u>

მსგავსი სახის პროექტთან დაკავშირებული პოტენციური დაბინძურების საშუალებებია (მოცემული ნუსხა არ მოიცავს ყველა საკითხს):

- სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებებთან და მექანიზმებთან დაკავშირებული დიზელის საწვავი, საპოხ-საზეთი საშუალებეი და ჰიდრავლიკური სითხე, ანტი-ფრიზი და სხვ.

- სხვადასხვა დამაბინძურებელი (მაგ. ცემენტი და ბეტონი);

- სამშენებლო ნაგავი (შეფუთვა, ქვები და ხრეში, ცემენტის და ბეტონის ნარჩენი, ხე და ა.შ.).

<u>წყლის დაბინძურება</u>

წყლის დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა წყარომ, შემდეგი წყაროების ჩათვლით:

- საწვავის, ზეთის, ან სხვა სახიფათო ნივთიერების დაღვრამ, განსაკუთრებით საწვავის ჩასხმის პროცესში;
- შლამიანი წყლის გათავისუფლებამ მიწიდან;
- ჩამონადენი წყლის შლამმა (”სამშენებლო წყალი”);
- სატრანსპორტო საშუალებების, ან აღჭურვილობის გარეცხვამ;
- დაბინურებული მიწის და გრუნტის წყლის დაუცველობამ.

გამონაჟონი შეიძლება სწრაფად ჩავიდეს ქვემოთ წყლის ობიექტის დინებისკენ. დამაბინძურებელი ნივთიერებების წყალში მოხვედრის შემდეგ შესაძლოა ძნელი იყოს მათი ლოკალიზება, რაც შემდგომ ზეგავლენას მოახდენს ქვედა ბიეფის ვრცელ ფართობზე. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოპერატიული ქმედებების გატარებას ნებისმიერი პოტენციური დაბინძურების შემთხვევისას.

სამუშაო ფართობის ნიადაგის ზედა ფენისგან გათავისუფლების შემდეგ ზედაპირზე ჩნდება ქვედა ფენა. წვიმიან ამინდში მიწის სამუშაოების წარმოების დროს აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ფართობიდან შეწონილი ნარჩენების უკონტროლო გასვლა.

<u>ჰაერის დაბინძურება და ხმაური</u>

სავარაუდო ზეგავლენა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჰაერის დაბინძურება, მინიმალურია და უკავშირდება ძველი შენობების დემონტაჟს და ტრანსპორტისა და მძიმე ტექნიკის ექსპლუატაციას სამშენებლო მოედანზე და მასალების ტრანსპორტირებას.

- ხმაური და ვიბრაცია მძიმე ტექნიკისა და ტრანსპორტისგან;
- გამონაბოლქვი (ტრანსპორტისგან, ბულდოზერებისა და ექსკავატორებისგან და ა.შ).
- მტვერი (ტრანსპორტისგან);
- შესაძლებელია გაჩნდეს სუნის პრობლემა, რაც უკავშირედება მასალების მიწოდებასა და ტრანსპორტირებას.

<u>მშენებლობასთან დაკავშირებული ნარჩენები</u>

ინერტული სამშენებლო ნაგავი

სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს მოსალოდნელია სხვადასხვა სახის ინერტული ნარჩენების წარმოშობა, კერძოდ:

- ძველი შენობების დემინტაჟისას წარმოქმნილი ნარჩენები - 2631$მ^3$;
- ბუნებრივი მასალები (ნიადაგი და ქანები);

- არა სახიფათო ნივთიერებით, ან საგნებით დაბინძურებული ნიადაგი.

არა-სახიფათო სამშენებლო ნაგავი

ძირითადი არა მავნე სამშენებლო ნაგავი მოიცავს:

- ხის მასალას (ხეებისა და ბუჩქების მცირე რაოდენობა);
- მეტალებს (ჯართი და მავრთული) – მოსალოდნელია მცირე ლითონის ნარჩენები.

სახიფათო სამშენებლო ნაგავი

სახიფათო ნარჩენების მცირე მოცულობა ძირითადად ტრანსპორტის ტექ. მომსახურების სამუშაოების შედეგად წარმოიქმნება. მოსალოდნელია შემდეგი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა:

- თხევადი საწვავი;
- საცხებ-საპოხი მასალა, ჰიდრავლიკური სითხე;
- ქიმიურ ნივთიერებები, მაგ. ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- გაჟონვის საწინააღმდეგო მასალები, რომლებიც გამოიყენება ზეთის შესაწოვად და ქიმიური ნივთიერებების გაჟონვის საწინააღმდეგოდ.
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ტილოები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა

- ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეული ზეგავლენა;
- სატრანსპორტო მიმოსცვლის შეფერხება (დაბრკოლება);
- ჰაერის დაბინძურება;
- ტალახი გზებზე;
- ტრანსპორტის საწვავით შევსებასთან, ტექ. მომსახურებასთან და რეცხვასთან დაკავშირებული ნიადაგისა და წყლის დაბინძურების რისკი.

ნიადაგის საფარის ზედა ფენის დანაკარგები მისი მოჭრის შედეგად

- ნიადაგის ზედა ფენის გარეცხვა არასწორი შენახვისა და აღდგენის გამო;
- ნატანის ჩადინება მდინარესა და წყლის ობიექტებში;
- დაბინძურებული ნიადაგის ზეგავლენა;

ფლორა. ფლორაზე პოტენციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. პროექტი ხის ჭრებს არ ითვალისწინებს.

ლანდშაფტი. ქვეპროექტის საინჟინრო პროექტი არ ითვალისწინებს ლანდშაფტის მნიშვნელოვან ცვლილებას. პროექტამდე არსებული რელიეფი ექვემდებარება აღდგენას.

4.2. ექსპლუატაციის ფაზა

ქვეპროექტის ტერიტორიაზე წარმოდგენილი „ქვევრის სახლის“ ინფრასტრუქტურა საკუთრებაში გადაეცემა იმ სტრუქტურულ ერთეულს რომელიც მიწის მესაკუთრეა, კერძოდ თეალვის მუნიციპალიტეტის მთავრობას. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულს სრული პასუხისმგებლობა ექნება „ქვევრის სახლის“ ინფრასტრუქტურის სწორად მართვაზე და მოვლა-პატრონობაზე.

„ქვევრის სკოლის“ ექსპლუატაციისას და მოვლა-პატრონობის სამუშაოებისას შემდგომში მოსალოდნელი ზემოქმედება გრემოზე დაკავშირებული იქნება ნარჩენებისა და საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების წარმოქმნასთან.

ტურისტების რაოდენობის მომატებასთან ერთად მოიმატებს ნარჩენების რაოდენობა და ხმაურის დონე.

ქვეპროექტის და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმდებარე ტერიტორიაზე იმრავლებს მანქანების რაოდენობა რაც გამოიწვევს დამატებით ემისიებს და ხმაურს. ასევე მოიმტებს ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებული რისკები.

5. შემარბილებელი ღონისძიებები

5.1. მშენებლობის ფაზა

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მახლობლად ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილია შემდეგი სმუშაოები, კერძოდ ავტო-პარკინგები, კაფეები, ქვევრის მაღაზია, შიდა და გარე წყალმომარაგების, გაზმომარაგების და ელ. მომარაგების სისტემები, კანალიზაციისა და სანიაღვრე სისტემები.

ზოგადი მოთხოვნები:

სადემონტაჟო სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით, აგრეთვე შენობის დაშლის დროს საჭიროა სელიტებურ ზონაში მტვრის გაფანტვისაგან დამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფა. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს საავტორო ზედამხედველობის ქვეშ.

დაუშვებელია მძიმე ტექნიკის გამოყენება, განსაკუთრებით გამაგრებითი სამუშაოების დასრულდებამდე;

1. ტექნიკამ უნდა იმოძრაოს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით;
2. შეიზღუდება მაქსიმალურად დასაშვები სიჩქარე;
3. შეიზღუდება ტექნიკის გადაადგილების სიხშირე;
4. ძირითადი სადემონტაჟო სამუშაობი უნდა განხორციელდეს ტექნიკის გამოყენების გარეშე (ხელით);
5. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ტერიტორიაზე ვიბრაციის ხმაურის და ემისიების ზღვრულად დასაშვები ნორმები შემცირდება 20%-ით;
6. დაუშვებელია სახიფათო ნარჩენების განთავსება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმდებარე ტერიტორიაზე;
7. მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნებისმიერი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები ყოველდღიურად, სამუშაო საათების დასრულებისას უნდა იქნას გატანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმდებარე ტერიტორიიდან.
8. ყველა მუშამ მობილიზაციის ეტაპზე უნდა გაიაროს მაღალი სენსიტივობის ობიექტზე მუშაობის შესაბამისი ტრეინინგი: ამგვარი ტრეინინგის შინაარსი შეთანხმებული უნდა იქნას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

ხმაური წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ტიპიურ ზემოქმედებას. გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესატყვისობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპროექტო არეალისათვის, რადგანაც მთელი რიგი სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ისტორიული ძეგლების მახლობლად, რაც დაკავშირებულია მძიმე ტექნიკით მძიმე ტვირთის გადაზიდვასთან და საკმაოდ ინტენსიურ მოძრაობასთან მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების უშუალო სიახლოვეში.

სპეციალური ზომების განუხორციელებლობის და ტრანსპორტის და ტექნიკის შეუზღუდავი მოძრაობის შემთხვევაში, შესაძლოა მიყენებული იქნას სერიოზული ზიანი.

კონტრაქტორი, სამშენებლო ორგანიზაცია, ვალდებულია გაატაროს სპეციალური ზომები სათანადო სამშენებლო ნებართვის მისაღებად და მიაღწიოს შეთანხმებას ყველა დაინტერესებულ მხარესთან ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით.

შემამსუბუქებელი ზომები

- მძიმე ტექნიკის მოძრაობისათვის შერჩეული მარშრუტი მაქსიმალურად უნდა იქნას დაშორებული ისტორიული ძეგლებიდან. გამონაკლის შემთხვეევბში განსაზღვრული უნდა იქნას სატრანსპორტო მოძრაობის ნებადართული ინტენსივობა და სიჩქარე;

- ინერტული სამშენებლო მასალებით მომარაგება უმჯობესია განხორციელდეს საპროექტო არეალის მახლობლად მდებარე ლიცენზირებული კარიერებიდან. ინერტული მასალების და ნებისმიერი სხვა სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებისას ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი შეთანხმებული უნდა იქნას შესაბამის რეგიონულ სამსახურთან. დაუშვებელია სატვირთო მანქანების ნკადების ზედმეტად გადატვირთვა და ნებადართული მოძრაობის მარშრუტბის და ინტენსივობის დარღვევა;

- ისტორიული ძეგლების სიახლოვეს სატვირთო მანქანების გავლის შემთხვევაშ მაქსიმალური სიჩქარე შეზღუდული უნდა იქნას უსაფრთხოებისათვის საჭირო დონეზე;

- სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს და დამკვეთს წარუდგინოს რისკ ფაქტორები, მათი შემამსუბუქებელი ზომები და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა;

- საგანგებო სიტუაციაში, დამკვეთთან შეთანხმებული ზომები უნდა განხორციელდეს დაინტერესებული ორგანიზაციების კონტროლის ქვეშ და მათი კომენტარების სათანადოდ გათვალისწინებით.

მიწის სამუშაოების მსვლელობაში არქეოლოგიური ობიექტების აღმოჩენისას, სამშენებლო სამუშაოები უნდა შეჩერდეს და სათანადოდ ინფორმირებული უნდა იქნას თელავის მუნიციპალიტეტის აგილობრივი მმართველობა.

დაბინძურების საწინააღმდეგო ზომები

<u>წყლის/ნიადაგის დაბინძურება.</u> სამშენებლო ტერიტორიაზე აუცილებელია კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, წყლის და ნიადაგის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

სატრანსპორტო საშუალებების წყალში ექსპლუატაცია თავიდან უნდა იქნას აცილებული (მაგალითად ნიაღვარი ურთიერთ გადამკვეთ ტერიტორიებზე) და სხვა ალტერნატივის არ არსებობის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება, საწვავის, ან საპოხი ნივთიერებების გაჟონვის გამორიცხვის მიზნით.

კონტრაქტორები ვალდებულები არიან უზრუნველყონ საპოხი მასალების, საწვავის და გამხსნელების სათანადო მართვა. საწვავის და საპოხი მასალების შემნახველი ავზები არ უნდა განთავსდეს წყლის დინების 50 მ-ის ფარგლებში, წყლის კალაპოტის სეზონური დაშრობის დროსაც, რომლის ქვეშაც მოხდება წყლის მაგისტრალის გაყვანა. ყველა ავზი საჭიროა განთავსდეს ავზის მაქსიმალური მოცულობის სულ მცირე 110%-ის დამბაში. იმ შემთხვევაში, თუ დამბაში ხდება ერთზე მეტი ავზის განთავსება, სისტემამ უნდა შესძლოს ყველაზე დიდი კონტეინერის 110%, ან მათი მთლიანი მოცულობის 25% შენახვა, რომელიც იქნება უფრო დიდი. დამბა იქნება ჰერმეტული (მაგ. ბეტონის სამაგრით), სადრენაჟო კვანძების, ან სხვა დარღვევების გარეშე. დაგროვებული წვიმის წყალი დამბებში ამოიტუმბება დამბებიდან დრენაჟის არხში, ან მიწაში, დაუბინძურებლობის შემთხვევაში. საწვავის დაღვრის შემთხვევაში, დაღვრილი საწვავი აუცილებელია თავიდან შეიკრიბოს და დაბინძურებული დამბა გაიწმონდოს შემაკავებლებით: ნახერხი, ქვიშა და თივა. ყველა სახის საწვავის/ჰიდრო-ნახშირბადის გამანაწილებელი საცმები აუცილებელია ექვემდებარებოდეს წვეთების კონტროლს და უსაფრთხოდ იყოს დახურული მაშინ, როდესაც არ ხდება მისი გამოყენება.

საწვავის დასაწყობება და სატრანსპორტო საშუალებებისა და აღჭურვილობის საწვავით გამართვა არ უნდა განხორციელდეს წყლის ობიექტების, ჭების, უწყლო ხეობების, ან ჭაობებისა და წყალშემცველი ჰორიზონტის ფარგლებში. სატრანსპორტო საშუალებები არ უნდა იქნას ზედამხედველობის გარეშე მიტოვებული საწვავით გამართვის პროცესში.

საპოხი მასალის შეგროვება და გადამუშავება

- შესაბამისი პრევენციული ზომების გატარებით დაღვრის თავიდან აცილება
- მდინარეების და ზედაპირული წყლის ობიექტების სიახლოვეს საწვავით გამართვის აკრძალვა
- მანქანების შემოწმება (საწვავის ჟონვა და ა.შ.)
- ნალექების გადამღობების გამოყენება;
- ჩალის ბარდანების გამოყენება წყლის გადასაგდებად (მიმართულების შესაცვლელად) და გასაფილტრად;

- ზვინულებისა (მიწაყრილებისა) და არხების სისტემის გამოყენება, რათა დაბინძურებული წყალი არ ჩაედინოს მდინარეში/წყალსატევში;
- შემაკავებელი/სალექარი ლაგუნების გამოყენება. რეკომენდებულია ბუნებრივი დალექვის პროცესით სარგებლობა და არა ფლოკულიანტის გამოყენება დალექვის დასაჩქარებლად, რის შემდეგაც შესაძლებელია სუფთა წყლის გაშვება.

დაუშვებელია ასფალტის ან სველი ცემენტის და/ან ბეტონის წყალსატევში, გუბეში და თხრილში მოხვედრა.

ნავთობის დაღვრის შემთხვევაში დაღვრილი საწვავი უნდა შეგროვდეს, ხოლო დაბინძურებული მიწაყრილი უნდა დამუშავდეს სორბენტებით: ნახერხით, სილით ან ჩალით. დაბინძურებული მიწა და სორბენტები დაგროვებულ იქნება და განთავსდება სახიფთო ნარჩენების განთავსების წესების შესაბამისად.

საწვავის/ნახშირწყალბადის დოზირების (ჩამოსასხმელი) მოწყობილობის ყველა საცმი უნდა მოწმდებოდეს გაჟონვაზე და მუდმივად კონტროლქვეშ უნდა იყოს; მათი დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს ჩაკეტვის შესაძლებლობა, როდესაც მათ არ ვიყენებთ. სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აღკვეთა მდინარეში, ხოლო თუ აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია, საჭიროა სატრანსპორტო საშუალებების რეგულარული შემოწმება საწვავისა და საზეთ-საპოხი მასალების გაჟონვაზე.

კონტრაქტორები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ საზეთ-საპოხი მასალების, საწვავისა და გამხსნელების სწორი გამოყენება. დაუშვებელია საწვავისა და საპოხი მასალების ცისტერნების წყალსატევებიდან, ჭიდან და მდინარის ხევებიდან 50 მეტრ მანძილზე ახლოს განთავსება. ყველა ცისტერნა უნდა მოთავსდეს ბეტონის საძირკველზე (რეზერვუარში) რომლის მოცულობა (ტევადობა) ცისტერნის მაქსიმალური ტევადობის მინიმუმ 110%-ია. თუ დამცავ რეზერვუარში მოთავსებულია ერთ ცისტერნაზე მეტი, სისტემის ტევადობა უნდა იყოს ყველაზე დიდი ცისტერნის ტევადობის 110% ან მათი სრული ტევადობის 25% იმის მიხედვით, რომელიც მეტი იქნება.

გრუნტისა და კლდის ნაშალის განთავსება.

- ადგილობრივ მოსახლეობას მიეცეს სამშენებლო სამუშაოების შედეგად დარჩენილი ქვების/ლოდების გამოყენების უფლება. მასალების გატანა შეთანხმებული უნა იქნას ადგილობრივ ხელისუფლებასთან, საზოგადოებასთან კონსულტაციების მეშვეობით.
- ნარჩენი ქვები (7$მ^3$-ზე ნაკლები) შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი გრუნტის გზის მოსასწორებლად.

- დარჩენილი მასალა გადაიტანეთ უახლოეს განსათავსებელ ადგილას, რომელიც წინასწარ შეთანხმებული იქნება ადგილობრივი მმართველობის გარემოს დაცვის რეგიონალურ სამსახურებთან. სამუშაო უბნიდან ნარჩენების გატანილ იქნას ისეთ ადგილას, რომელიც შეესაბამება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნებს ინერტული მასალის ნაგავსაყრელებთან დაკავშირებით .

მყარი ნარჩენების განკარგვა

სამშენებლო მოედნიდან ყველა სახის ნარჩენი გატანილი უნდა იქნას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მითითებულ ოფიციალურ ნაგავსაყრელზე, წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

სამშენებლო ნარჩენის დაწვა აკრძალულია, გარდა გაუქერქავი ხეების ტოტებისა და ბუჩქების, რომელთა დაწვა უმჯობესია მშენებლობის დერეფანში, რათა არ მოხდეს მცენარეთა პარაზიტების გავრცელება.

მტვერი და გამონაბოლქვები

სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში (ამ მიზნით საჭიროა მათი რეგულარული დათვალიერება რემონტის მიზნით), რათა ხმაური და გამონაბოლქვი არ აწუხებდეს მუშებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს. სამუშაოების წარმოება უნდა მიმდინარეობდეს დღისით. საჭიროა ყველა სატრანსპორტო საშუალების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში - შეკეთება, რათა თავიდან იქნას აცილებული ტრანსპორტის ნაწილების გაუმართაობით გამოწვეული მომეტებული ხმაური.

დიზელის ძრავების შეკეთება აუცილებელია რეგულარულად, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გამონაბოლქვი. აღნიშნული მიიღწევა მაგალითად, საწვავის ინჟექტორების გაწმენდით. მიმდინარე ტექნიკური მომსახურეობა უნდა იყოს მაღალი სტანდარტისა, რათა სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია იყოს უსაფრთხო და მათგან გამოწვეული ხმაური მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. საჭიროა სამუშაო უბანზე ექსპლუატირებული ყველა მოწყობილობის რეგულარულად შეკეთება, რათა ისინი მუდმივად გამართულ მდგომარეობაში იყოს და ამით მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ატმოსფერული გამონაბოლქვი.

სატრანსპორტო საშუალებების საწვავით შევსება უნდა ხდებოდეს ისეთი წესით, რომ ატმოსფერულ ჰაერში აქროლადი ორგანული ნაერთების მოხვედრა სამშენებლო მოედნებიდან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, რაც მიიღწევა საწვავის საცმებისა და ტუმბოების და დახურული ცისტერნების გამოყენებით (საწვავის შესანახად ღია ცისტერნების გამოყენება დაუშვებელია).

მშრალ პირობებში ან ჰაერში დიდი რაოდენობით მტვრის არსებობის ან მისი წარმოშობის მაღალი ალბათო-ბის შემთხვევაში აუცილებელი ხდება შემამსუბუქებელი ზომების მიღება, რაც უნდა მოხდეს სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვა-ნელთან (მენეჯერთან) შეთანხ-მებით. შემამსუბუქებელ ზომებში შედის:

- დანამვა წყალმზიდით სასხურებლებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- სამშენებლო მასალებისა და შენახული მასალების გადახურვა დამცავი საფარით; და
- ტვირთის გატანა მხოლოდ წინასწარ დადგენილი გზებითა და სატრანსპორტო საშუალების დაბალი სიჩქარით გადაადგილება - საჭიროების შემთხვევაში. მასალების გადაზიდვა სამშენებლო უბანზე პიკის საათებამდე ან მის შემდეგ უნდა ხდებოდეს;
- აუცილებელია სამშენებლო უბანზე მასალების ტრანსპორტირებისას მათი გადახურვა ან დასველება/დანამვა, მტვრის წარმოშობის შევამცირებისმიზნით. საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო უბანიც ინამება (ირწყვება). საჭიროების შემთხვევაში მუშებს დაურიგდებათ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და მოხდება ყველა სატრანსპორტო საშუალების შემოწმება და შერემონტება, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი გამონაბოლქვი სატრანსპორტო საშუალების გაუმართავი ნაწილების გამო.

ამგვარი ზომების გამოყენება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ტრასიდან 300მ მანძილზე იმყოფება ადამიანური ან ცხოველური რეცეპტორები.

ქვე-ნიადაგის დასაწყობება (შენახვა)

ქვე-ნიადაგის ფენის შენახვა ხდება არა უმეტეს 3 მ სიმაღლის გროვებად, რომელთა გვერდების დახრილობის კუთხე არ აღემატება 60°-ს. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი:

- ქვე-ნიადაგის დასაწყობების ადგილები იმგვარად უნდა იქნას შერჩეული, რომ არ ხდებოდეს მათი დატკეპნა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას და მათი დაბინძურება სხვა მასალებით;
- ქვე-ნიადაგის ფენის გროვები გამოყოფილი უნდა იყოს ნიადაგის ფენის გროვებისაგან;

იმ შემთხვევაში, თუ ქვე-ნიადაგის გროვები განიცდის მნიშვნელოვან ეროზიას, კონტრაქტორი ვალდებულია მიმართოს აღდგენით ქმედებებს (მაგ., საფარის გამოყენება გროვებზე).

ქვე-ნიადაგის ფენის აღდგენა

- ეროზიისა და ჩამონადენის კონტროლი;
- ელიეფი და ლანდშაფტი; იქ სადაც რელიეფი არ აღდგება თავის საწყის მდგომარეობამდე (ახალი არხები) –იგი უნდა გაიწმინდოს სამშენებლო ნარჩენებისაგან და მოდეს მისი შერწყმა ბუნებრივ ლანდშაფტთან;
- ზედაპირული წყლების დრენაჟი.

საბოლოო აღდგენა არ განხორციელდება იქამდე, სანამ არ ჩატარდება ერთობლივი ინსპექტირება და არ დასრულდება დეფექტების გამასწორებელი ღონისძიებები.

ნიადაგის ფენის დაცვა

კონტრაქტორი ნიადაგის ფენაზე არ ჩაატარებს არანაირ სამუშაოს, თუ ადგილი აქვს შემდეგ გარემოებებს:

- ნიადაგის ფენა გაყინულია;
- მოცემულ ტერიტორიაზე აღინიშნება ნალექის მუდმივი ვარდნა;
- ნიადაგის ფენა გაჟღენთილია; ან
- სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში დაზიანდება ნიადაგის ფენის სტრუქტურა.

ნიადაგის ფენის შენახვა

ნიადაგის ფენის შენახვა ხდება არა უმეტეს 2 მ სიმაღლის გროვებად, რომელთა გვერდების დახრილობის კუთხე არ აღემატება 45°-ს. ამასთან, მხედველობაში მიიღება შემდეგი:

- ნიადაგის დასაწყობების ადგილები იმგვარად უნდა იქნას შერჩეული, რომ არ ხდებოდეს მათი დატკეპნა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას და მათი დაბინძურება სხვა მასალებით;
- ნიადაგის ფენის გროვები გამოყოფილი უნდა იყოს ქვე-ნიადაგის გროვებისაგან;
- დაუშვებელია ნიადაგის ფენის გროვებად დასაწყობება, თუ არსებობს მოცემული ტერიტორიის დატბორვის საფრთხე;

- დაუშვებელია ნიადაგის გროვებად დაწყობა მდინარიდან/წყლის ნაკადებიდან 25 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის თავისებურების გათვალისწინებით.
- იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგის გროვები მნიშვნელოვან ეროზიას განიცდის, კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს გამასწორებელი ზომები, როგორიცაა ეროზიის საწინააღმდეგო საფარის მოწყობა გროვების თავზე, თუ შეუძლებელი იქნება ზედაპირის დატკეპნვა და/ან დაგრუნტვა. კონტრაქტორმა გროვები უნდა დაიცავას დატბორვისა და გაჟონილი წყლისაგან ბერმების ან მისი ექვივალენტის მოწყობით გროვების ირგვლივ, საჭიროებისამებრ.
- ნიადაგის გროვებზე ზედამხედველობა აუცილებელია და რაიმე არასასურველი გარემოების არსებობისას საჭიროა გამასწორებელი ზომების მიღება, რაშიც შედის:
- ანაერობული პირობები - გადმოატრიალეთ გროვა ან შექმენით სავენტილაციო ხვრელები გროვებში;
- ეროზია - აღმართეთ დროებითი დამცავი ნალექის შემოღობვა.

ნიადაგის ფენის აღდგენა

ამოთხრილი ნიადაგის ზედა ფენა გამოყენებული იქნება ტერიტორიის ხელახალი კულტივაციისათვის, დაბინძურების შემთხვევაში იგი გადაიყრება წერილობით დამტკიცებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

დროებითი ეროზიის კოტროლის ზომები

ზომები, რომლებსაც კონტრაქტორი გატარებს "ფერდების" ეროზიისაგან დაცვისათვის ქვემოთ არის მოყვანილი. ფერდის ჩამოჭრისას შესაძლებელია ეროზიული პროცესების მყისიერი და მეტად მნიშვნელოვანი ინტენსიფიკაცია და წყლის ნაკადების გაზრდილი დატვირთვა ნატანით.

დროებითი ეროზიის კოტროლის ზომების დანიშნულებას წარმოადგენს:

- ზედაპირული წყლების ჩადინების შეწყვეტა;
- წყლის ჩადინების სიჩქარის შეზღუდვა პრაქტიკულ ზღვრამდე;
- სამშენებლო ობიექტებიდან ნატანის ტრანსპორტირების თავიდან აცილება და მინიმუმამდე დაყვანა;
- ჩალის ბარიერების მოწყობა იმ ადგილებში, სადაც მცირე მოცულობის ნატანის დაჭერა ხდება.

<u>მიწის გასუფთავება</u>

მოჭრილი ხეებისა და ბუჩქების ამოძირკვა. ტერიტორიის გაწმენდა ბარდებისაგან, დახვეტა ფოცხის მეშვეობით, 50 მ მანძილზე გატანა. გროვების დაწვა და ხელახალი დაწვა.

ლიცენზირებული ობიექტების გამოყენება მასალების მომარაგებისათვის

<u>უსაფრთხოება და მისადგომობა.</u> უზრუნველყოფილი უნდა იქნას ალტერნატიული მისასვლელი სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთათვის. უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო განათება და ნიშნები.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა

იყალთოს მონასტერი იმდენად დაშორებულია სამშენებლო მოედნიდან, რომ ქვე-პროექტის განხორციელებით მონასტერის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

იმის მიუხედავად, რომ, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია საკმაოდ მოშორებულია სამშენებლო მოედნიდან და ეს მანძილი საკმარისია, რათა თავიდან იქნას აცილებული სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენა წმინდა ნინოს სახელობის ეკლესის ნანგრევებზე, პროექტი ითვალისწინებს ეკლესიის სამშენებლო მოედნისგან იზოლაციას სპეციალური ბარიერების საშუალებით, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი სახის მავნე ზემოქმედება ეკლესიის ნანგრევებზე.

5.2. ექსპლოატაციის ფაზა

სოფელ იყალთოში მუნიციპალური საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს. „ქვევრის სახლის“ ექსპლუატაციისას საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების წარმოქმნასთან და მათ ჩაშვებასთან დაკავშირებული გარემოს საბინშურების რისკების თავიდან აცილება შესაძლებელია ინდივიდუალური საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარის (სეპტიკური ავზი) დამონტაჟებითა დ სწორი ექსპლუატაციით.

ტურისტების რაოდენობის მომატებასთან ერთად მოიმატებს ნარჩენების რაოდენობა

შემარბილებელი ღონისძიებები:

